




მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის მოწესრიგება დადატვირთვა  
ცხოველის ჯიშისა და სქესობრივ -ასაკობრივი ჯგუფების  
შესაბამისად





იმისათვის, რომ ცხოველისაგან ჯიშისთვის დამახასიათებელი სასურველი შედეგი მივიღოთ, საჭიროებებზე დაფუძნებული კვების, ცხოველის ჯიშისა და ფერმის კარგი მენეჯმენტის გარდა, საჭიროა ცხოველთა სახეობის შესაბამისი კეთილმოწყობილი სადგომი

სადგომი სახეობის შესაბამისად კეთილმოწყობილად იმ შემთხვევაში ითვლება, თუ ცხოველებს შეუძლიათ მოიქცნენ ისე, როგორც ველურ გარემოში.



## საქონლის შენახვის სისტემები

განასხვავებენ ძროხის შენახვის ინტენსიურ და ექსტენსიურ სისტემას:

ძროხის შენახვის ექსტენსიური სისტემა გულისხმობს მომთაბარეობის პირობებში შენახვას

ინტენსიური კი — ძროხის სტაციონარულად შენახვას



ექსტენსიური

მომთაბარე

ინტენსიური

სტაციონარული

ბაგური  
საძოვრული  
ბაგურ-საძოვრული



## მომთაბარე შენახვის სისტემა

მომთაბარე ,იგივე ექსტენსიური მესაქონლეობის დროს ცხოველები მთელი წლის განმავლობაში საძოვარზე იმყოფებიან და ერთი სეზონური საძოვრიდან მეორე სეზონურ საძოვარზე გადაჰყავთ.

მომთაბარე მეცხოველეობის დროს მკვეთრად მცირდება დანახარჯები საკვებზე, რაც ამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.





მომთაბარე  
შენახვის დროს  
ცხოველები  
იწველებიან  
ხელით

ხელით წველის გამო  
ხშირად რძის ხარისხი  
უარესდება



საძოვრული სისტემის შენახვის დროს ზაფხულის პერიოდში ცხოველები ბუნებრივ ან ნათეს საძოვარზე იმყოფებიან, ხოლო ზამთარში ძირითადად ბაგურ კვებაზე არიან.







საძოვრული შენახვის ერთ-ერთი უპირატესობაა ცხოველების სუფთა ჰაერზე ყოფნა და შეუზღუდავი მოძრაობა, რაც მასტიმულირებლად მოქმედებს ცხოველის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე, ხელს უწყობს ცხოველთა ნორმალურ ზრდა-განვითარებას ამაღლებს საერთო რეზისტენტობას, უმჯობესდება რეპროდუქციული მაჩვენებლები.



საძოვრული შენახვის დროს აუცილებელია ფარდულებისა და საწურებლების მოწყობა





ცხოველის კულტურულ საძოვარზე შენახვისას საჭიროა ნაკვეთმორიგობითი  
ძოვება და ელექტრომწყემსის მოწყობა







ბაგური შენახვისას ცხოველთა ძირითად სადგომში იმყოფებიან, მათ ძირითად საკვებს წვნიანი საკვები, მარცვლეული და თივა წარმოადგენს .

ბაგურთან შედარებით ამ დროს რძის წარმოების რაოდენობასთან ერთად წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაც საგრძნობლად იზრდება

## ბაგური შენახვა



ბაგური შენახვის სისტემა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში ცხოველების განთავსებას რეგულირებული მიკროკლიმატის მქონე ბინებში, ხოლო თბილ დღეებში მათ უშვებენ სეირანზე.

ბაგური სისტემის გამოყენებისას ფურები შეიძლება შევინახოთ როგორც დაბმულად, ასევე დაუბმელი წესით



დაბმული შენახვის პირობებში პირუტყვი მისთვის ბუნებრივ სოციალური ქცევას იშვიათად ავლენს ხოლმე, რადგან არ შეუძლია თავისუფლად გადაადგილება. ამიტომ აუცილებელია მათი გასეირნება რადგან მათ შორის ჩამოყალიბდეს ნახირის სტაბილური იერარქია რაც გამოიწვევს აგრესიის შემცირებას.


დაუბმელად შენახვისას პირუტყვს აქვს შესაძლებლობა მოთხოვნილებისამებრ გამოავლინოს სასიცოცხლო პროცესებთან დაკავშირებული ქცევის რეაქციები, თავისუფლად იმოძრაოს სადგომის მთელ პერიმეტრზე, მიიღოს საკვები, დალიოს წყალი და ა.შ. ეს კი მოითხოვს სადგომში მეტი თავისუფალი სივრცეების არსებობას, რაც დამატებითი ფართობის მოწყობათან არის დაკავშირებული





მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შეიძლება საკმაოდ გაწვალდეს წამოდგომის ან დაწოლის დროს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი დაბმულ მდგომარეობაში იმყოფებიან ან დასაწოლი ბოქსები არასწორად არის მოწყობილი.

ადგომისა და დაწოლის დროს სახსრებზე მცირე ხნით დიდი დატვირთვა მოდის





ძროხა წამოდგომისას მუდამ ერთი და იგივე ატიპიურ მოძრაობას მიმართავს.


### ადგომის პროცესი

1




წოლა

2




მომზადება

3




თავის წინ გაწევა

4




უკანა ფეხების  
გასწორება

5



წინა ფეხების  
გასწორება


6



დგომა


# დაწოლის პროცესი

1




დგომა

2




წინა ფეხების  
კორპუსის უკან  
შინჯა

3



სახსრებზე  
დაყრდნობა

4



გვერდულად  
დაწოლა

5



წოლის  
პოზიციის  
არჩევა

6



წოლა

კარგ პირობებში ჯანმრთელი ძროხა იშვიათად არის უმოქმედოდ. ის ან ჭამს ან წყალს სვამს ან წევს.

წოლის ფაზა შეიძლება დღეში თორმეტ საათზე მეტი იყოს და ძალიან მნიშვნელოვანია ძროხის ჯანმრთელობისთვის:

1. ისვენებს კიდურები;
2. მოიხმარს ნაკლებ ენერგიას ვიდრე სიარულისას
3. ცოხნა ინტენსიურია, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეტი ნერწყვი, რომელიც ფაშვში აკუმულირდება და საკვების გადამუსავებას უწყობს ხელს და ა.შ.





დაკვირვებებიდან ცნობილია, რომ ფერმაში ძროხას ადგომისთვის საშუალოდ რვა წამი სჭირდება, ხოლო საძოვარზე კი ოთხი წამი.

### დაბმული შენახვის დროს

იმისათვის, რომ ის ადგომისა და დაწოლის დროს ფიზიკურად ზედმეტად არ დაიტვირთოს, მას მიუხედავად საკმარისი სიგრძის საბელისა, საჭირო მოძრაობების განსახორციელებლად საკმარისი ადგილი უნდა ჰქონდეს, რაც თავის მხრივ, სადგომის კეთილმოწყობის პრინციპზეა დამოკიდებული


### დაუბმელი სადგომი

დაუბმელ სადგომში ყველა ძროხას მათი სახეობის შესაბამისი წესით შეეძლება წამოდგომა ან დაწოლა. თუმცა, თუ სადგომი არასწორადაა დაპროექტებული ან ბოქსები არასწორადაა მორგებული, აქაც პრობლემებს ვაწყდებით.



## ინდივიდუალურბოქსიანი სადგომი

საქონელს შეუძლია ნებაზე შევიდეს და გამოვიდეს გამოყოფებით შემოსაზღვრულ ინდივიდუალურ ბოქსებში. ასეთი ბოქსების რიგი შესაძლებელია იყოს ერთი, ორი ან რამდენიმე. ასეთ სადგომებში შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის ქვემასაფენი: ნამჯის, ხის ნახერხის, ქვიშის, რეზინის მატრასები და სხვა.







მატრასის ზომა-  
 $1.83 \times 1.20 \text{ მ}^2$

საკვებური-  
 $0.8 \times 1.8 \text{ მ}^2$

სასეირნო-  
 $5-10 \text{ მ}^2$


ჯამში 1 სულზე  $15 \text{ მ}^2$







ბაგური ინდივიდუალბოქსიანი ან დაბმული შენახვის დროს ცხოველის კომფორტისთვის გამოიყენება ე.წ. მატრასი რომელიც შეიძლება იყოს ნამჯის, ნახერხის, ქვიშის, რეზინის







## ზაგის/ საწოლი მატრასის ზომები განსხვავდება ცხოველის ჯიშის და ცოცხალი მასის შესაბამისად

ცოცხალი მასა კგ	ზაგის სიგრძე	ზაგის სიგანე
300-350	120-125	100-105
400-500	160-170	100-105
550	180-200	115-120

საწოლი ადგილის შეფასებისთვის საჭიროა ცხოველთა დაკვირვება და კითხვებზე პასუხის გაცემა :

გყავთ თუ არა ძროხები შესიებული, გახეხილი ან ანთებული სახსრებით?

- გადახეხილი ხომ არაა საქონლის ზურგი?
- ყველგან თანაბრად შევსებულია თუ არა მატრასი?
- საწოლ ადგილში შესვლიდან 5 წუთის გავლის შემდეგ წვებიან თუ არა ძროხები მატრასზე?
- მოწველიდან 2 საათის შემდეგ, ძროხების 10 პროცენტი კვლავაც ფეხზე დგას?
- მრავალი მცდელობა სჭირდებათ თუ არა ძროხებს ადგომის ან დაწოლის დროს?



## ჩამუხლვის ტესტი!

შედიით პირუტყვის საწოლ სივრცეში და მუხლებზე ისე დადექით, როგორც ამას თქვენი ძროხა აკეთებს. დარჩით მუხლებზე ცოტა ხნით.

- გრძნობთ თუ არა ტკივილს?
- მუხლები თუ დაგისველდათ?





ბაგური დაუბმელი სისტემის დროს ერთ ძროხაზე მინიმუმ 1 საწოლი ადგილია გათვალისწინებული





ზაგური შენახვის დროს ცხოველის  
მოციონისთვის განკუთვნილი  
ადგილი





## არსებობს დაუბმელი ტიპის სადგომის შემდეგი ქვეტიპები:



ნამჯის ღრმა ქვეშაფენიანი საერთო სადგომი ცხოველებს შეუძლიათ დაწვენონ თავისუფლად საერთო შემოკავებულ ადგილზე სადაც ნამჯაა დიდი რაოდენობით გაშლილი.





## ფერმაში ნახირის სწორი მართვისას გასათვალისწინებელი პრაქტიკა

- საკვებ ადგილზე ცხოველების რაოდენობა - თითო ცხოველს თითო კვების ადგილი ჰქონდეს გამოყოფილი
- სასმელ ავზზე ცხოველების რაოდენობა - მაქსიმუმ 15 ცხოველი 1 წყლის ავზზე
- საწოლი ადგილი - თითო ცხოველზე 1 მინიმუმ ადგილი
- დერეფნები - ფართო დერეფნები, რათა ცხოველებმა ერთმანეთისათვის თავის არიდება შეძლონ
- გასასვლელები - დააპროექტეთ დამატებითი გვერდითი გასასვლელებიც, რათა ცხოველებმა ერთმანეთისათვის თავის არიდება შეძლონ
- ახალგაზრდა პირუტყვის სადგომი - ახალგაზრდა პირუტყვი ზრდასრული პირუტყვის მსგავს სადგომებში, რათა მოგვიანებით ადგილის შეცვლა არ გაუჭირდეთ
- ჩიხი - მოერიდეთ ჩიხებს



## სადგომში არსებული კლიმატური პირობები

ცხოველებს საკვების, წყლის და მოძრაობის გარდა ჭირდებათ:

- ჰაერი
- სითბო
- სინათლე

ცნებაში „სადგომის კლიმატი“ სწორედ ეს სამი ფაქტორი მოიაზრება

სადგომის კლიმატი მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს ცხვრელთა საჭიროებებს, რათა მათ თავი კომფორტულად იგრძნონ.

სივრცულ პირობებთან, სადგომის აღჭურვილობასთან და ცხვრელთა მოვლა-კვებასთან ერთად, კლიმატს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცხვრელთა კეთილდღეობის საქმეში.

ცხვრელებზე სადგომის კლიმატის გავლენის შესაფასებლად გასათვალისწინებელია სხვადასხვა ასპექტები:

- ცხვრელების ასაკი
- შენახვის სისტემის ტიპები



## სადგომის ოპტიმალური ტენიანობა

თუ ტენიანობა გარკვეულ ზღვარს გასცდა, ამან შესაძლოა ცხოველის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად იმოქმედოს:

- ძალიან დაბალმა ტენიანობამ შეიძლება გამოაშროს ლორწოვანი გარსი, რასაც ლორწოვანი გარსის გაღიზიანება და სხვადასხვა რესპირატორული დაავადებები მოჰყვება ხოლმე
- გადაჭარბებული ტენიანობის დროს ცხოველს უჭირს ჩასუნთქული ჰაერით გაგრილება, ეს განსაკუთრებით პრობლემური მაშინ ხდება, როდესაც ჰაერის ტემპერატურა ძალიან მაღალია, მაღალი ტენიანობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მიკრობების გამრავლებისთვის (მაგალითად ნამჯაში), ეს ყველაფერი ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების ალბათობასა და სისწრაფეს



## ტენიანობის შეფასება

ფერმის ტენიანობის ზოგადი შეფასება სპეციალურ ხელსაწყოებთან ერთად სხვადასხვა გარეგნული ნიშნების მიხედვით შეიძლება.

- 1. დაკვირვება სადგომში** (კონდესანტის წარმოქმნა, ზამთარში, დაბალი ტემპერატურის დროს ხდება ხოლმე, რადგან ცივ ჰაერს მხოლოდ მცირე რაოდენობის ანაორთქლის შთანთქმა შეუძლია და ორთქლი, რომელიც არ შეიწოვება, კონდენსირდება)
- 2. დაკვირვება ცხოველებზე** (აღალი ტენიანობის დროს, პირუტყვის ბეწვი ტენით იფარება, რადგან წყლით გაჯერებული ჰაერი ვერ შთანთქავს ოფლიანობის დროს გამოყოფილ ტენს.)
- 3. საკუთარი შეგრძნებები** (ზედმეტად მაღალი ტენიანობა ადამიანს არ სიამოვნებს. ის ჰაერის მაღალ ტემპერატურის დროს ორთქლის აბაზანას მოგაგონებთ. ხოლო ტენიანი, მაგრამ ცივი ჰაერი ძველ სარდაფში არსებულ ჰაერს წააგავს. დაბალი ტენიანობის დროს ასევე მრავლდება მტვერი, რაც სადგომში შესვლისას ხველას აჩენს)
- 4. ტენიანობის გაზომვა** (ჰიგრომეტრით) (პირუტყვისთვის ოპტიმალური ტენიანობა 50 - 80 %)

## მავნე აირები

ჰაერის კარგი ხარისხი მნიშვნელოვანია პირუტყვის და ფერმერის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და მუშაობისთვის

დამაბინძურებელი აირები, როგორცაა ამიაკი, ნახშირორჟანგი და ნახშირწყალბადები, ბუნებაში ჩვეულებრივ ისეთი მაღალი კონცენტრაციით არ გვხვდება, როგორც ფერმაში. ამ მავნე გაზების დიდი ხნის განმავლობაში ჩასუნთქვა ცხოველების ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს. სასურველია, თავიდან ავიცილოთ მათი წარმოქმნა.

მავნე აირების გარდა, ცხოველის ჯანმრთელობაზე ჰაერში არსებული მტვერიც მოქმედებს.

მტვერი ძირითადად ნაგვის, საკვების, კანის, თმისა და ბეწვის კომპონენტების, აგრეთვე განავლის ორგანული ნაწილაკების ნარევისგან შედგება

## გარემოს ოპტიმალური ტემპერატურის უზრუნველყოფა

ყველა ცხოველს შეუძლია შეინარჩუნოს სხეულის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურის გარკვეულ დიაპაზონში. ამ დიაპაზონს "თერმული გულგრილობა" ეწოდება.

- ტემპერატურის ქვედა კრიტიკულ ზღვარს მიღმა, ორგანიზმი სითბოს გამომუშავების მექანიზმებს რთავს. გარეგნულად ეს პროცესი კანკალში გამოიხატება.

- ზედა კრიტიკული ტემპერატურის მიღმა ცხოველი ოფლიანობას და გახშირებულ სუნთქვას იწყებს.

თუ ცხოველს დიდი ხნის განმავლობაში უწევს კრიტიკულ ტემპერატურებს მიღმა ცხოვრება, მისი პროდუქტიულობა მკვეთრად ეცემა.





- გარკვეული ტემპერატურის მიღმა, ცხოველი სხეულის ვერც კანკალით, ოფლიანობით, სუნთქვითა თუ მეტი ჭამით ვეღარ არეგულირებს.
- ამ ტემპერატურის დიაპაზონს ჰიპოთერმია (ანუ, ძალიან დაბალი ტემპერატურა) ან ჰიპერთერმია (ძალიან მაღალი ტემპერატურა) ეწოდება.
- თუ ცხოველს ამ დიაპაზონში ხანგრძლივად ცხოვრება უწევს, მას სიცვიდან ან სიცხისგან სიკვდილის საფრთხე ემუქრება.
- ახალშობილ ცხოველებს უფრო მაღალი გარემო ტემპერატურა სჭირდებათ, ვიდრე ზრდასრულ ცხოველებს. მათთვის გარემოს ტემპერატურის ოპტიმალური დიაპაზონი უფრო მცირეა, ვიდრე მოზრდილებისთვის



## ოპტიმალური ტემპერატურა, როდესაც ცხოველები მაქსიმალურად პროდუქტიულები არიან

ცხოველი (ძროხა)	წონა (კგ)	ოპტიმალური ტემპერატურა °C)
ბულა მწარმოებელი	800-1000	0-15
მერძეული ფური (15-20ლ რძე)	500-700	0-15
დეკეული , უშობელი	150-500	5-20
სახარე	150-500	0-15
ხბო	50-150	5-20



## გარემო ტემპერატურის გავლენა ცხოველის ჯანმრთელობაზე

ფაქტორი	დაბალი ტემპერატურა	მაღალი ტემპერატურა
1. ასაკის მატება	+	-
2. კარგი კვება	+	-
3. პროდუქტიულობა	+	-
4. მაკეობა	+	-
5. მოძრაობა	+	-
6. სქელი ბეწვი	+	-
7. ქვეშსაფენი (ნამჯა)	+	-
8. ჯგუფური შენახვა	+	-
9. ინდივიდუალური შენახვა	-	+
10. ქარი	-	+
11. მზე	+	-

+ ატანას აადვილებს

- ატანას ართულებს





ჰაერის დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში ცხოველებს ბეწვი ყალყზე უდგებათ, პირუტყვის ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საზიანოა, თუ მისი ბეწვი დაბალ ტემპერატურაზე დიდი ხნის განმავლობაში დასველებულია და მის გამრობას ვერ ახერხებს.







მაღალ ტემპერატურაზე პირუტყვი შემდეგნაირად რეაგირებს:

- საქონელს ბეწვი უოფლიანდება და სუნთქვა უხშირდება, ნაკლებს ჭამს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მის პროდუქტიულობაზე.

საქონელი სადგომში ასევე ხშირად თავს არიდებს კარგად იზოლირებული საწოლ ადგილზე (ღრმა ნამჯა და რბილი მატრასი) დაწოლას და მაგარ იატაკზე წვება ხოლმე





ბოლო წლების განმავლობაში დაინერგა ე.წ. გრილი ფერმების პრაქტიკა, რაც გულისხმობს მათ ღია სივრცეებში შენახვას











ასეთ შემთხვევაშიც კი ცხოველებს ჭირდებათ ისეთი თავშესაფრები სადაც ორპირი ქარისგან იქნებიან დაცულები და ექნებათ მშრალი მოსასავენებელი ადგილები ზამთარში და თავშეფარი ექნებათ მზისგან ზაფხულში







ხბოები ამგვარ ფერმებში ადვილად უძლებენ 0 °C-ზე დაბალ ჰაერის ტემპერატურას, თუ კი მათ მშრალ, ქარისგან დაცულ და კარგად ნამჯა მოფენილ იატაკიან მიკროკლიმატურ ზონებს შევუქმნით











## კვებისა და სასმელი წყლის მიღების უზრუნველყოფა

როგორც ცხოველთა ჯანმრთელობისთვის, ასევე რძის წარმოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ფერმაში მყოფი ცხოველების რეგულარული და სრულფასოვანი კვება და მათი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, რაც მათ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული.





იმისათვის რომ ცხოველმა შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა განსაკუთრებით წლის ცხელ პერიოდში საჭიროა წყალზე ხელმისაწვდომობა.

## წყლის მოხმარება 1 ძროხაზე დღეში, რძის პროდუქციისა და გარემოს ტემპერატურის გათვალისწინებით

გარემოს ტემპერატურა	რძის პროდუქცია დღეში				
	13,6 ლ.	22,7 ლ.	31,7 ლ.	40,8 ლ.	49,9 ლ.
	1 ძროხაზე დღის განმავლობაში წყლის საჭიროება				
4,4 °C	58,5	77,6	96,7	115,3	134,3
15,6 °C	63,5	85,3	107,1	129,3	151,1
26,7 °C	70,3	96,7	123,0	149,8	176,1





## ძროხას წუთში დაახლოებით 18-25 ლიტრი წყლის დალევა შეუძლია

ნახირში არსებობს იერარქია, როგორც წესი იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი ძროხა წყლის დალევას ყველაზე ბოლოს შეძლებს მას შემდეგ რაც დომინანტი ძროხები წყურვილს დაიკმაყოფილებენ.





დაუბმელ-ბოქსურად შენახვისას პირუტყვი წყალს სვამს ე. წ. დასასვენებელი ადგილიდან ცალკე დადგმული ჯგუფური სარწყულვებელიდან , რომელსაც უნდა ჰქონდეს სათანადო სიღრმე და უზრუნველყოფდეს მოთხოვნილების შესაბამისი რაოდენობით წყლის მიწოდებას.



მსხვილფეხა ცხოველის მოვლა



## წყლის ავზის მახასიათებლები

1. წყლის ავზი ღია ზედაპირით (დიდი ავზები)
2. ერთ ავზთან მაქსიმუმ 15 ცხოველი
3. წუთში მინიმუმ 20 ლიტრით შევსების სიჩქარე
4. ავზის 15-20 სმ-მდე სიღრმე (ძროხებს წყლის დაღევა ღრმა რეზერვუარებიდან ურჩევნიათ)
5. ადვილად გასაწმენდი





საქონელს შედარებით მოკლე კისერი აქვს. იმისათვის, რომ ის მიწის დონეზე მდებარე საკვებს მიწვდეს, მან ეგრეთ წოდებული “საძოვრული ნაბიჯი” უნდა გადადგას - ის ერთ წინა ფეხს ოდნავ წინ დგამს, ხოლო მეორეს ოდნავ უკან.





ფერმაში არსებული კვების პრინციპი ხელს უშლის ამ ნაბიჯის გადადგმას.

საკვები რომ იატაკის დონეზე განვითავსოთ, ძროხები საკვებს თითქმის ვერ მიწვდებიან.

სადგომში საქონლის კვების ხაზი დაახლოებით 15 სანტიმეტრით მაღლა უნდა იყოს აწეული





- დაუბმელ-ბოქსურად შენახვისას, პირუტყვი წინა კიდურებით რომ არ გადავიდეს საკვებურში/საკვებ მაგიდაზე, და აქედან საკვებდამრიგებლის გასასვლელში, დასასვენებელ ადგილისა და საკვები მაგიდის გასწვრივ, იატაკის მთელ სიგრძეზე კეთდება ბეტონის გამყოფი ტიხარი
- მსხვილ ფერმებში საკვები მაგიდის მთელ სიგრძეზე აწყობენ ე.წ. „ჩამკეტ ღობეს“ ანუ ე.წ. ჰედლოკს







ფერმაში ცხოველები კვების დროს ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც ხშირად მათ შორის სიტუაციას ქაბავს.

როგორც წესი, იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ცხოველები იჩაგრებიან და სხვა ცხოველები მათ კვების ზონიდან აგდებენ ხოლმე.

ამიტომ მიზანშეწონილია, რომ თითოეული ძროხისთვის გამოყოფილი იყოს კვების საკუთარი ადგილი





## ცხოველთა ჰიგიენა

პირუტყვი, რომელიც თავისუფლად გადაადგილდება, რეგულარულად ისუფთავებს ბეწვს. ამისთვის ის სხეულის ყველა იმ ნაწილს ილოკავს, რომელსაც ენით წვდება.

იმ სადგომებში, სადაც ძროხები თავისუფლად გადაადგილდებიან, რეკომენდირებულია სახეხი ჯაგრისების დაყენება, რაც საშუალებას მისცემს ცხოველს თავად გაიწმინდონ თავი.

სახეხი ჯაგრისები ასევე ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას.







გერმანიის სოფლის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები ძროხის სხეულის ჰიგიენის შესახებ, შემდეგს აჩვენებს:

- პირუტყვი ჯაგრისის საშუალებით დღეში საშუალოდ სამიდან ექვსჯერ იწმენდს თავს
- ყველაზე ინტენსიურად თავის არეალს ისუფთავებენ (დასუფთავების მთლიანი დროის 55% თავზე იხარჯება).
- განსაკუთრებით მოსწონთ ზურგის გაწმენდა (დასუფთავების მთლიანი დროის 37%)
- წმენდის დროის 8% ეთმობა ყელის გაწმენდას.
- კვლევებმა აჩვენა, რომ პირუტყვს გაწმენდა ყველაზე მეტად ჭამამდე და ჭამის შემდეგ უყვარს
- ერთი ჯაგრისი 60 ძროხას ყოფნის
- არ არის მიზანშეწონილი საწმენდი ჯაგრისების დაყენება საწველი დანადგარის წინ და უკან ან ვიწრო გასასვლელებში, რადგან ამან შეიძლება ცხოველების მოძრაობა შეაფერხოს





## იატაკი

სადგომის იატაკზე უნდა დაგებული იყოს მაგარი საფარი.

ბოლო წლებში უპირატესობას ანიჭებენ ბეტონს.

დაუშვებელია უსწორმასწოროდ დაგებული, ან ალაგ-ალაგ ამოტეხილი ბეტონი იატაკი, რაც ზრდის ჩლიქების ტრავმული დაზიანების შემთხვევებს.

მოდრაობისას ცხოველის მოცურების თავიდან ასაცილებლად, საფარი არ უნდა იყოს პრიალად გადალესილი;

იატაკის მოწყობისას, მის ზედაპირს

დაღარავენ პარალელურად ან

კვადრატულად





ბაგური შენახვის დროს სადგომში სისუფთავის შენარჩუნების მიზნით გამოიყენება ე.წ. ნაკელგამტანი სისტემა



## ცხვრელთა ქცევა

პირუტყვს, ისევე როგორც სხვა ცხვრელებს, მკვეთრად გამოხატული სოციალური ცხოვრება აქვს.

სადგომის მშენებლობისას გასათვალისწინებელია რომ სხვადასხვა სქესობრივ - ასაკობრივი და ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით ცხვრელთა დაყოფის შესაძლებლობა გვექონდეს, რისთვისაც ერთ შენობაში საჭიროა შიდა ტიხრების გამოყენება

ცხვრელს ასაკის, სქესის, პროდუქტიულობისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან გამდინარე ჭირდება სხვადასხვა საკვები საშუალებები და საზრდო ნივთიერებები ამიტომ საჭიროა მათი სხვადასხვა განყოფილებაში შენახვა



პირობითად ცხოველის სადგომი შეგვიძლია დავყოთ :

1. მაკე მშრალი ცხოველები
2. მოსაგები ცხოველები (ინდივიდუალური ბოქსი )
3. ახალმოგებული განწველვაზე მყოფი ცხოველები
4. 6-7 თვის მაკე და შედარებით დაბალპროდუქტიული ცხოველები
5. ახალდაბადებული ხბოები 0-14 დღის ასაკის ინდივიდუალურ გალიაში
6. ხბოები 1-3 თვის ასაკის
7. ხბო 3-6 თვის ასაკის
8. დეკეულები და უშობლები 1 წლის ასაკის ზემოთ

ასევე ფერმაში გასათვალისწინებელია იზოლირებული განყოფილება ავადმყოფი ცხოველების მოსათავსებლად

9. კურო-მწარმოებლები
8. სახარე ხბოები 6 თვის ასაკიდან

## მოსაგები ცხოველის განყოფილება

მოგებამდე 2 კვირით ადრე ფური გადაგვყავს ინდივიდუალურ სივრცეში, სასურველია თვალთ კონტაქტი ქონდეს სხვა ცხოველებთან, ფური ამ დროს უზრუნველყოფილია და თავისუფალი წვდომა აქვს წყალზე, საკვებსა და მარილზე

ინდივიდუალური ბოქსის ქვეშაფენი უნდა იყოს მშრალი და რბილი, ყოველი ფურის მოგების შემდეგ აუცილებელია დეზინფექციის ჩატარება






# ახალდაბადებული ხბოების განყოფილება



ხბო დაბადებიდან 1 საათის შემდეგ გადაგვყავს ინდივიდუალურ განყოფილებაში, სადაც სასურველია დარჩეს მინიმუმ 14 დღის განმავლობაში











დაახლოებით 2 კვირის ასაკიდან ერთი ასაკის ხბოები უკვე შეგვიძლია შევინახოთ ჯგუფურად









## კურო-მწარმოებლების განყოფილება

იმისათვის რომ ფერმაში თავიდან ავიცილოთ თავისუფალი დაგრილება და ახლონათესაური შეჯვარება კურო-მწარმოებლები უნდა შევინახოთ ცალკე მისთვის განკუთვნილ აგილას.







# მეწველი ცხოველები ღია და დახურულ სადგომში განსხვავებული კლიმატური პირობების პერიოდში













